გურჯაანის მუნიციპალიტეტის საკრებულო

დადგენილება #35

2010 წლის 30 ნოემბერი

ქ. გურჯაანი

გურჯაანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2009 წლის 31 მარტის #19 დადგენილებაში `სათამაშო ბიზნესზე ადგილობრივი მოსაკრებლის შემოღების შესახებ~ ცვლილებების შეტანის თაობაზე

„ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის „მ“ ქვეპუნქტის, `სათამაშო ბიზნესის მოსაკრებლის შესახებ~ საქართველოს კანონის მე-5 მუხლის, `ადგილობრივი მოსაკრებელის შესახებ~ საქართველოს კანონის მე-5 მუხლის, „ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-20 მუხლის შესაბამისად,

საკრებულო ადგენს:

მუხლი 1. შეტანილ იქნას ცვლილებები გურჯაანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2009 წლის 31 მარტის #19 დადგენილებაში `სათამაშო ბიზნესზე ადგილობრივი მოსაკრებლის შემოღების შესახებ~ და დადგენილების 1-ლი მუხლის 1-ლი და მე-2 პუნქტები ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

`1. თითოეულ სათამაშო აპარატზე_ კვარტალში 2000 ლარის ოდენობით;

2. ტოტალიზატორის, ბინგოს, ლოტოს თითოეულ სალაროზე _ კვარტალში 5000 ლარის ოდენობით;~

მუხლი 2. გურჯაანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2009 წლის 31 მარტის #19 დადგენილებით `სათამაშო ბიზნესზე ადგილობრივი მოსაკრებლის შემოღების შესახებ~ დამტკიცებულ `სათამაშო ბიზნესის მოსაკრებლის გადახდის წესის~ მე-3 მუხლი ამოღებულ იქნას;

მუხლი 3. იმ სათამაშო აპარატების სალონის, ტოტალიზატორის, ბინგოსა და ლოტოს მოწყობის ნებართვების მფლობელებისათვის, რომლებსაც 2010 წლის 20 ოქტომბრამდე აქვთ აღებული 2010 წლის მე-4 კვარტალის სათამაშო ბიზნესის მოსაკრებლის გადახდის ნიშნები, ამ პერიოდისათვის გადახდილი მოსაკრებელი გადაიანგარიშება შემდეგი წესით:

ა) 2010 წლის 20 ოქტომბრიდან ამ დადგენილების ძალაში შესვლამდე პერიოდზე– `სათამაშო ბიზნესის მოსაკრებლის შესახებ~ საქართველოს კანონით დადგენილი მოსაკრებლის მინიმალური ოდენობის მიხედვით;

ბ) ამ დადგენილების ძალაში შესვლიდან 2010 წლის მე-4 კვარტალის დარჩენილ პერიოდზე – მოსაკრებლის დადგენილი ოდენობის მიხედვით.

მუხლი 4. დადგენილება ძალაშია გამოქვეყნებისთანავე.

საკრებულოს თავმჯდომარე **ზაქარია იაგანაშვილი**